სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/26

ქ. თბილისი 24 მარტი 2026 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელის მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს წინადადება - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელის მინიჭების თაობაზე.
2. მოწონებული იქნეს თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრისთვის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატანი წარმოდგენილი ცვლილების პროექტი (დანართი).
3. წინადადება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრისთვის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატანი წარმოდგენილი ცვლილების პროექტი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**